ა(ა)იპ სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის მიერ 2023 წელს

განხორციელებული სამუშაოები

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის დაქვემდებარებაში შედის ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 7 სასაფლაო, კერძოდ ნინოშვილის, კუნძულის, ნაბადის, მალთაყვის, მალთაყვის ახალი მონაკვეთი, ებრაელების და ე.წ ''სტაროვერების'' სასაფლაოები. არსებული სასაფლაოების მთლიანი ფართი შეადგენს 232 232 კვ.მეტრს, ანუ 23,23 ჰექტარს.

სამსახურის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. სარიტუალო მოსახურება,კერძოდ დაკრძალვა-გადასვენება.
2. მიწის ნაკვეთების გაცემა ახალი საფლავების მოსაწყობად.
3. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, კერძოდ ყველა მუნიციპალურ სასაფლაოზე მოუვლელი, უსახელო, მიტოვებული საფლავების გაწმენდა-დასუფთავება, მისასვლელი გზების, ბილიკების წესრიგში მოყვანა.
4. გამოჩენილი და დამსახურებული ფოთელების საფლავების მოვლა-პატრონობა ყოველგვარი გადასახადების გარეშე.

მ/წ ჩატარებული სამუშაოები:

1. მალთაყვის უბნის სასაფლაოზე ბარათშვილის ქუჩის მხრიდან ახალ გამოყოფილ ტერიტორიაზე მოხდა შიდა გზების დაგრეიდერება, ამოძირკული იქნა რამოდენიმე ათეული ხის ფესვები, მოიზვინა და დაგრეიდერდა ტერიტორია. ახალი საფლავების მოსაწყობად, ჩატარდა საფლავების ხელახალი ინვენტარიზაცია და ნუმერაცია.
2. ებრაელების სასაფლაოზე შეკეთდა არსებული ღობე, ეკალ-ბარდებისგან გაიწმინდა არსებული ტერიტორია,მოიჭრა გადაბერებული ხეები, შეკეთდა და შეიღება ცენტრალური ჭიშკარი და გაუკეთდა შესაბამისი ფირნიშები, მოხდა საფლავების ინვენტარიზაცია და დანომრვა.
3. ე.წ „სტაროვერების“ სასაფლაოზე მოხდა არსებული სასაფლაო დაკვალვა, საზღვრების განსაზღვრა, მოიჭრა გადაბერებული ხეები, ტეროტორია გაიწმინდა ეკალ-ბარდებისგან, მოხდა საფლავების ინვენტარიზაცია და ნუმერაცია შესაბამისი ფირნიშების გაკვრით.
4. კუძულის უბნის სასაფლაოზე ჩატარდა დაზიანებული კუტიკარების(პატარა ზომის ჭიშკარი) შეკეთება და განახლება, შეღებვა.
5. სამსახურის მიერ მოხდა მ/წ იანვრის თვეში სტიქიის(ძლიერი ქარი) დროს სასაფლაოების ტერიტორიაზე წაქცეული 2 ათეულამდე დიდი და პატარა ხის დამუშავება, დახერხვა-დამორვა და სასაფლაოს ტერიტორიიდან გატანა, 1საფლავის სრულფასოვანი აღდგენა სამსახურის დაფინანსებით.დაზიანებული და წაქცეული მონუმენტების და ქვების ნაწილობრივი აღდგენა-რესტავრაცია. ათეულობით საფლავის დასუფთავება-მოწესრიგება.